პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

КОММУНИСТ—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1975 შაბათი 20 დეკემბერი № 296 (16422) ფასი 2 კაპ. 1975

სკკპ XXV ყრილობის უსასყიდლად

შევქმნათ ყველა პირობა ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მატერიალური და ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის!

საქართველოს სსრ მრეწველობამ შეასრულა წლიური გეგმა

საქართველოს სსრ მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება 1975 წლის — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის რეალიზაციისა და წარმოების წლიური გეგმა შეასრულეს 19 დეკემბერს.

განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს ქალაქ თბილისის საწარმოთა — „ელექტროაპარატის“, „საქპოლიმერტარის“, „საქსამთოქიმმრეწვის“, „თბილისღვინოს“, ტყავის საწარმოო გაერთიანებების, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის, სართავსატრიკოტაჟო კომბინატის, ორჯონიკიძის სახელობის, „ამირანის“, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკების, № 1, № 2 და № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკების, შამპანური ღვინოების, კონიაკის ქარხნების, ჩაის საწონი ფაბრიკის, ცხინვალის კოლექტივებმა, ქალაქ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ქიმიური ქარხნის, ქალაქ ქუთაისის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის, კომბინატ „საქქვანახშირის“, ავეჯის ფაბრიკის, ბამბის საქსოვი საწარმოო გაერთიანების, მაუდის ფაბრიკის, კიროვის სახელობის და „გელათის“ საწარმოო სამკერვალო გაერთიანებების, ლითოფონისა და საავტომობილო ქარხნების კოლექტივებმა; ქალაქ ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის, მანქანათსამშენებლო ქარხნის, საწარმოო სამკერვალო გაერთიანების კოლექტივებმა; ჭიათურის მანგანუმის ტრესტის, ენგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის, ცხინვალის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა და სხვებმა.

(საქინფორმი).

თბილისის მრეწველობამ შეასრულა წლიური გეგმა

ქალაქ თბილისის მრეწველობის მუშაკებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის, ვალდებულებით გათვალისწინებული 25 დეკემბრის ნაცვლად, ვადამდე 18 დეკემბერს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა და იკისრეს ვალდებულება თვის დამლევამდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან კიდევ რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია.

გეგმის ვადამდე შესრულებაში თავი გამოიჩინეს „ელექტროაპარატის“, „თბილისღვინოს“, ტყავის საწარმოო გაერთიანებების, კონიაკის, შამპანური ღვინოების ქარხნების, № 1, № 2, № 3 სატრიკოტაჟო, ორჯონიკიძის სახელობის, პირველი მაისის სახელობის, „ამირანის“, ჩაის საწონი ფაბრიკების, სართავ-სატრიკოტაჟო, ცხინის კომბინატების და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა. (საქინფორმი).

შესანიშნავი მიღწევა

საბჭოთა კავშირის ელექტროენერგეტიკის მრეწველობის დარგის ენერგეტიკულ სისტემათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, მოსამსახურეებს, ყველა ენერგეტიკოსსა და მანქანათმშენებელს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად გილოცავენ ქვეყნის ელექტროენერგეტიკის განვითარებაში ახალი დიდმნიშვნელოვანი მიჯნის მიღწევას — მეცხრე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ენერგეტიკოსის დღისათვის ტრილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგიის წარმოებას.

ეს დიდი მოვლენა კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებით — ჩვენი ქვეყნის მოლიანად ელექტრიფიკაციის შესახებ ვ. ი. ლენინის დიადი გეგმის განუხრელი განხორციელებისათვის ჩვენი პარტიისა და ხალხის გმირული ბრძოლის ისტორიის ნათელი ფურცელია. ისტორიულად მოკლე ვადაში ელექტროენერგიის წარმოების მასშტაბი დიდი ოდენობით — 1935 წლის 9 მილიარდი კილოვატსაათიდან, რომელსაც გოელროს გეგმა ითვალისწინებდა, 1975 წლის 1036 მილიარდ კილოვატსაათამდე.

ელექტროენერგიის წარმოების მიღწეული დონე მოწმობს, რომ სკკპ XXIV ყრილობის დარეკტივები და ხუთწლიანი გეგმის დავალებანი ამ დარგში წარმატებით შესრულდა. ელექტროენერგეტიკაში მოხდა ძირეული ტექნიკური და ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ კიდევ უფრო სრულად გადავწყვეტოთ საერთო-სახელმწიფო სამეურნეო და მეცნიერულ-ტექნიკური ამოცანები. სსრ კავშირს სამართლიანად უკავია მოწინავე პოზიციები მსოფლიოში ელექტროენერგიის წარმოების ცენტრალიზაციითა და კონცენტრაციით, თბოფიკაციისა და ჰიდროენერგეტიკის განვითარებით.

წლითიწლობით ჩქარდება მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა ადამიანების ყოფის ელექტრიფიკაციის ტემპი. განუწყვეტლივ იზრდება შრომის ელექტროღაჯრეილობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ელექტრიფიკაციამ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, წარმოების თვისებრივი დონის და ეფექტიანობის ამაღლების, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი და მძლავრი დამჩქარებელი გახდა.

კიდევ უფრო გაფართოვდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია ელექტრიფიკაციის დარგში. უმჯობესდება ენერგეტიკული სისტემა „მშვიდობა“, იზრდება მისი როლი სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების საიმედო ელექტრომომარაგებაში, რაც ხელს უწყობს მათი ეკონომიკის განვითარებას.

ყველა ეს შესანიშნავი მიღწევა მოიპოვეს ექსპლოატაციის მუშაკების, ენერგომშენებლების, მანქანათმშენებლების, დამპროექტებლების. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მუშაკების, საობობი მრეწველობის დარგების მრავალრიცხოვანმა კოლექტივებმა, კომუნისტებმა და კომკავშირელებმა, რომელთა თავდადებული, შემოქმედებითი შრომა მთელი საბჭოთა ხალხის გულწრფელ და დიდ მადლობას იმსახურებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ თქვენ, ხელმძღვანელობთ რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, მთელ ძალ-ღონეს, ცოდნას, შეძენილ დიდ გამოცდილებას მოახმართ რეზერვებისა და შესაძლებლობების რაც შეიძლება სრულად გამოყენებას, რათა გაუმჯობესოთ ელექტროენერგიის წარმოების, კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობა და ხარისხი. გააძლიეროთ მომჭირნეობის რეჟიმი, გაუმჯობესოთ ელექტროსადგურების, საწარმოებისა და მშენებლობების მუშაობის ყველა მაჩვენებელი. უზრუნველყოთ ქვეყნის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის უპირატესი განვითარება.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ წარმატებებს სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გამოქვეყნებული პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“, რომელმაც რეს პუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, თვითეული შრომელის განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია, ღრმად მეცნიერულ საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს, რომელიც პარტიის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელების მაგისტრალურ გზებს გვისახავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი სავსებით შეესაბამება შრომელი მასების სურვილებს, მკაფიოდ გამოხატავს პარტიის უდიდეს ზრუნვას მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, შეათე ხუთწლედში კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა მისაღწევად მკვიდრი საძირკვლის შექმნისათვის.

პროექტში შეჯამებულია მეცხრე ხუთწლედის წლებში პარტიის საქმიანობის ძირითადი შედეგები. ამ წლების მანძილზე ჩვენი სამშობლო დაწინაურდა ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. საბჭოთა ხალხმა, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის დადგენილებებს ასრულებს, ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის მნიშვნელოვან ამაღლებას, შრომელთა ცხოვრების დონის შემდგომ აღმავლობას, საწარმოო ძალების ზრდასთან ერთად უმჯობესდებოდა სოციალისტური საწარმოო ურთიერთობა და საზოგადოების სოციალური სტრუქტურა. კიდევ უფრო განმტკიცდა მისი იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა ურღვევი თანამეგობრობა. განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები.

განვლილ პერიოდში გაიზარდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წვლილი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

რესპუბლიკის შრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება წარმოების მაქსიმალური ეფექტიანობისა-თვის, ეკონომიკური და კულტურული საქმიანობის ყველა სფეროში მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, თავდადებული შრომით დაძლიეს ხუთწლედის პირველი ორი წელის ჩამორჩენა და პირნათლად ასრულებენ 1975 წლის დამატებითი სამრეწველო პროდუქციის წარმოების სოციალისტურ ვალდებულებებსა და შემხვედრ გეგმებს.

ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთელი ხუთწლედის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ რესპუბლიკაში წარმატებით გადაწყდა მთავარი სახალხო-სამეურნეო პრობლემები.

რესპუბლიკამ უპასუხა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, რომ ვადამდე დამამთავრა მეცხრე ხუთწლედი მრეწველობაში. 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმა პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის მიხედვით შესრულდა 1975 წლის 25 ნოემბრისათვის, ხოლო სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით განსაზღვრულ მიჯნებს რესპუბლიკის მრეწველობამ მიმდინარე წლის 2 დეკემბრისათვის მიაღწია.

შესამჩნევი ცვლილებანი მოხდა სოფლის მეურნეობაში. შესრულდა სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტის შესყიდვის 1975 წლის სახელმწიფო გეგმა.

დიდი შრომითი გამძლეობა მოიპოვეს მადნეულის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა. მთავრდება ზუგდიდის ფაიფურის ქარხნის მშენებლობა, რომელიც გათვალისწინებულია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით.

მეცხრე ხუთწლედის ეკონომიკური და სოციალური ამოცანების განხორციელებაში მიღწეული წარმატებანი იმის ლოგიკური შედეგია, რომ გაუმჯობესდა რესპუბლიკის პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების მთელი ორგანიზაციულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა, ისინი უფრო სანგრძივად, კონკრეტულად და ეფექტიანმამართულად ხელმძღვანელობენ სახალხო მეურნეობას, მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, პრინციპულ და უკომპრომისო ბრძოლას ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, რომ მტკიცდება და ფართოდება პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური სტილი. მიღწეული წარმატებანი აუცილებელი ფუნდამენტია იმისათვის, რომ კიდევ უფრო წარმატებით ვიმუშაოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით განსაზღვრული ახალი გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად.

მაგრამ ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ ყველგან არ არის დაძლეული წარსული წლების ინერცია, ორიგინალური საწარმოები, ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებანი ქრონიკულად ვერ ასრულებდნენ საგეგმო დავალებებს, ჯერ კიდევ არ ზრუნავენ საკმარისად საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისათვის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. დაფიქრებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის დონე, ცალკეული კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს კაპიტალური მშენებლობის ნაკლოვანებანი, მრეწველობის ზოგიერთი დარგის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალი რენტაბელობა, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო საერთო-საკავშირო მაჩვენებელს: ჯერ კიდევ მაღალია ხელის შრომის ხვედრითი წონა და სამუშაო დროის არაეფექტურად გამოყენება. ეფექტიანობა, ეკონომიკური ანგარიში, ეკონომიკური და სამეფინანსო კონტროლი, ეკონომიკური და კულტურული ზრდა, ეფექტიანობის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, შრომისნაყოფიერების ზრდის, სახალხო მეურნეობის მართვის ყველა რგოლში მუშაობის ხარისხის ყოველნაირად გაუმჯობესების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“ ითვალისწინებს საქართველოს სსრ სამრეწველო პროდუქციის მოცულობის გადიდებას 35-39 პროცენტით, ელექტროტექნიკური, ჩარხ-საინსტრუმენტო და ქიმიური მრეწველობის უპირატეს ზრდას, ელექტროენერგეტიკის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, განსაკუთრებით მეცვინეობის შემდგომ განვითარებას, რეს პუბლიკის მთის და მაღალი მთის რაიონებში მოქმედ საწარმოთა ფილიალებს აშენებას შრომითი რესურსების უფრო სრულად გამოყენების მიზნით, საშუალო-წლიური პროდუქციის, მთელი სახოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრ გადიდებას, ტექნიკური და მრავალწლოვანი სუბტროპიკული კულტურების ფართობების შემდგომ ზრდას და სიმეჩხრის ლიკვიდაციას, ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებას 355 ათას ტონამდე, ყურძნის საშუალო-წლიური მოსავლის გადიდებას 1,5-ჯერ, მეცხოველეობის განვითარებას. დასახულია დაგვიანული მიწების მელიორაციის, კოლხეთის დაბლობის შემდგომი დაშრობისა და ათვისების, საკურორტო-ტურისტული ბაზების ქსელის განვითარების დიდი მოცულობის სამუშაოები და სხვ.

ამისათვის, რომ შესრულდეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესახებ „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, საშეურნეო ორგანოებთან ერთად გაშალონ ფართო განმარტებითი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს გააცნონ კონკრეტული დებულებანი, რომლებსაც შეიცავს პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებანი, და ამისათვის სრულად გამოიყენონ მასობრივი აგიტაციის, ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდის ყველა საშუალება, პრესა, ტელევიზია და რადიო; მოაწყონ ამ დოკუმენტის შესწავლა შრომითს კოლექტივებში, დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ყველა სასწავლებელში, პარტიული და კომკავშირული განათლების, შრომელთა ეკონომიკური განათლების სისტემაში და ამ მიზნით მიიწვიონ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა მუშაკები, მეცნიერები, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები და მასწავლებლები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები.

— პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვა მოაწყონ პარტიულ ორგანიზაციებში, შრომელთა კრებებზე, პარტიულ-სამეურნეო აქტივებზე და პრესაში, ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციების ტრიბუნა.

— პროექტის განხილვის მთელ მსვლელობას მიზნად დაუსახონ თვითეული ორგანიზაციის წინაშე მდგომი კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა, რეზერვების გამოვლენა და გამოყენება, 1976 წლის შემხვედრი გეგმებისა და ახალი სოციალისტური ვალდებულებების მიღება, დისციპლინის განმტკიცება, მინდობილი საქმისათვის თვითეული მუშაკის პრინციპული მიდგომისა და პასუხისმგებლობის დამკვიდრება, ყველა ამ თვისების შეხამება ინიციატივასთან, მუშაობისადმი შემოქმედებითს მიდგომასთან, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვასთან, ყველა საშუალებით იბრძოლონ ხამუშაო დროისა და საწარმოო რესურსების, ნედლეულისა და მასალების არამეურნეობრივი დანაკარგების წინააღმდეგ, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

— ძირითადი მიმართულებების პროექტის განხილვისა და განმარტებისათვის მთელ ორგანიზატორულ და საგაგაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში პარტიული ორგანიზაციები უნდა ეყრდნობოდნენ ხალხის დიდ შრომითს აღმავლობასა და პოლიტიკურ აქტივობას, სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას.

— მთელი ძალები და საშუალებანი გამოიყენონ იმისათვის, რომ გააქტიურონ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ყველა რგოლი, დაამკვიდრონ საბჭოთა-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობისადმი ეკონომიკური და სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ლენინური ტალი და მეთოდები, განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, თვითეული შრომელი აღზრდონ ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, ანტიპოდური მოვლენების წინააღმდეგ, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის საბოლოო გაჯანსაღებისათვის უკომპრომისო ბრძოლის სულისკვეთებით. გაძლიერონ შრომელთა კომუნისტური აღზრდა, ჩაუნერგონ მათ შრომისადმი, კოლექტივისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი საზოგადოებრივი ინტერესებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაღალი გრძნობა.

— შეიმეშაონ და შეუდგენენ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში პარტიის მითითებათა იდეოლოგიური უზრუნველყოფის, შრომელთა შორის პოლიტიკური და იდეიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების პერსპექტიული გეგმების განხორციელებას, ამასთან გაითვალისწინონ ისტორიული მომენტის თავისებურებანი და მეურნეობის გაძლიერის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი, რათა იდეოლოგიურ საქმიანობას მატერიალური ძალა მიენიჭოს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გათვალისწინებულია შევადგენოთ კომპლექსური პროპაგანდისტული ბრიგადები და 1975 წლის დეკემბერ-1976 წლის თებერვალში გავგზავნოთ ისინი რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში, რათა აწარმოონ განმარტებითი-პროპაგანდისტული მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, მრეწველობის, ტრანსპორტის, საწარმოების, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა — განახორციელონ საჭირო ღონისძიებები, რათა სრულყონ სახალხო მეურნეობის მართვისა და ხელმძღვანელობის ფორმები და ფორმები პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის შესაბამისად, მისი განხილვის პროცესში გამოავლინონ რეზერვები და შესაძლებლობანი პარტიის მიერ დასახული ამოცანის — წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, უფრო ინტენსიური განვითარების გზაზე ეკონომიკის გადაყვანის, მეურნეობის გაძლიერის კონკრეტული ხაოთხების ღრმად შესწავლის, მშრომელთა მიერ შემხვედრი გეგმების, სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების მატერიალური და ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნის ამოცანა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო ინსტიტუტებმა, საკონსტრუქტორო ბიუროებმა — დღენიადაგ განაგრძონ და გაალრმაონ მეცნიერების როლი ბუნებისა და საზოგადოების კანონზომიერებათა შეცნობასა და სწორად გამოყენებაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის საერთო საქმეში მისი წვლილის გადიდებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურის ამაღლებაში, მთავარი უურადღება დაუთმონ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალური პროგრესის უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გადაჭრას, ფუნდამენტური და გამოყენებითი მეცნიერების შემდგომ ინტენსიურ განვითარებას, მიაღწიონ მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა დაჩქარებულ დანერგვას წარმოებაში, გააფართოონ და განამტკიცონ საქმიანი და მეცნიერული კონტაქტები ქვეყნის მონათესავე ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.

საქართველოს პროფსაბჭომ, საოლქო საბჭოებმა, ყველა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ გააძლიერონ მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მისი მასიბრიობის, სიხარაობისა და ეფექტიანობის შესადარების უზრუნველყოფისათვის, მოწინავე გამოცდილების გავრცელებისათვის. ახალ დონეზე აიყვანონ მოძრაობა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის, გააუჯობესონ შრომელთა ეკონომიკური განათლება და პროფესიული მომზადების დაყენება, დღენიადაგ იზრუნონ მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა, კომკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა — გააკეთონ საქმიანობა, რათა ფართოდ დარაზმონ ქალაღვილები და ჭაბუკები გეგმებისა და სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის საბრძოლველად, უნარიანად გამოიყენონ საბჭოთა ხალხის რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე ახალგაზრდობის აღზრდის ნაცადი ფორმები, მოზარდი თაობისათვის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის, საბჭოთა პატრიოტისა და ინტერნაციონალისტის თვისებების ჩანერგვის მეთოდები. პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვისას უზრუნველყონ საყოველთაო პატრიოტული შთაგონების, კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პატრიოტული და შრომითი აქტივობის ამაღლების ატმოსფერო.

რესპუბლიკის შემოქმედებითი კავშირები და ორგანიზაციები — აქტიურად ჩაებან საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში სკკპ XXV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის, მეცხრე ხუთწლედში წარმატებული მუშაობის საფუძვლის შექმნისათვის, მხატვრული ნაწარმოებებისა და პუბლიცისტიკის მკაფიო სახეებში აღიბეჭდონ რესპუბლიკის ხუთწლედის გმირები, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეთა შრომითი დღეები. თავიანთი ნაწარმოებებით გაამდიდრონ ჩვენი თანამედროვეების სულიერი სამყარო, დარაზმონ ისინი ახალი შრომითი მიღწევებისათვის, ხელი შეუწყონ რესპუბლიკაში მთელი მორალურ-ფსიქოლოგიური ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას.

რესპუბლიკური გაზეთებისა და უურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა — ფართოდ გაუწიონ პროპაგანდა ბეჭდვითი გამოცემების ფურცლებზე, ტელე-და რადიოგადაცემებში პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის მნიშვნელობას, სისტემატურად მოაწყონ წარმოების მოწინავეების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერების კულტურის მუშაკების გამოსვლები; ყოველმხრივ გააუქონ განხილვის მიმდინარეობა და რეკომენდაციები; ფართოდ გამოაშუქონ გამოცდილებანი, შენიშვნები და წინადადებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის გამო, თემატიკური გვერდები, სტატიებისა და გადაცემების ციკლები პროექტში მოცემული ძირითადი დასკვნებისა და დებულებების შესახებ, ღრმად და თვალნათლივ უჩვენონ საქართველოს სს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების, ცალკეული დარგების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლებისა, სამეცნიერო დაწესებულებების შემდგომი განვითარების პერსპექტივები ახალ ხუთწლედში.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს უნდა ასხოგდეთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის განხილვის მთავარი დანიშნულებაა გამოავლინონ, გულმოდგინედ შეისწავლონ და განაზოგადონ შემოსული წინადადებანი და შენიშვნები და განსაკუთრებული უურადღება დაუთმონ ძირითადი მიმართულებების საყოველთაო-სახალხო, ფართო და ღრმა განხილვისათვის საჭირო პირობების შექმნას შინაპარტიულ დემოკრატიის განვითარებისათვის, შრომელთა გულახდილი, საქმიანი აზრთა გაზიარების ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის.

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის

ლ. ი. ბრეჟნევის წერილი

გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოველკვირეული „ფორვერტსის“ რედაქციისადმი

პატივცემულო ბატონო რედაქტორო,

სიამოვნებით ვეხმაურება თქვენს წინადადებას გამოთქვა აზრი ყოველკვირეულის „ფორვერტსის“ ფურცლებზე მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის 5 წლისთავისა და ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 20 წლისთავის გამო.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის ნორმალიზაცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ევროპის ომისშემდგომ ისტორიაში. ამ რთულ პროცესში გადამწყვეტი ეტაპი, უეჭველია, იყო მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერა, რომლითაც მოწესრიგდა ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობის პრინციპული პოლიტიკური საკითხები. ამით საგრძნობი იმპულსი მიეცა სულ უფრო ფართო ფენებში ჩვენ სამშობლოს ხალხთა ურღვევი თანამეგობრობა. განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პოზიციები.

ბონის რეგულარული პოლიტიკური კონსულტაციები, ეკონომიკური და სავაჭრო კავშირურთიერთობის გაფართოება, ინტენსიური მეცნიერული, კულტურული, ტურისტული გაცვლა — ყოველივე ეს კონკრეტულად მოწმობს, რომ ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობაში კეთილნაყოფიერი ცვლილებანი მოხდა. ეფიქრობ, რომ ჩვენ მიერ შეძენილი ერთობლივი გამოცდილება დაეხმარება ჩვენს ქვეყნებს კვლავაც კონსტრუქციული სულისკვეთებით გადაჭრან არსებული, ზოგჯერ რთული, პრობლემები.

დღეს სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ დაძაბულობის შენელების პოლიტიკას მნიშვნელოვანი, დამაჯერებელი შედეგები მოაქვს. ეს შეესაბამება ევროპის ყველა ხალხის ინტერესებს. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის წარმატებულ დამთავრებას ისტორიული მნიშვნელობა აქვს ევროპების გაჯანსაღებისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისათვის. მან შექმნა იმის კარგი წანამძღვრები, რომ ევროპის სახელმწიფოთა მთელი უფიდეკი. პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პოტენციალი ემსახურებოდეს საერთაშორისო ნდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეს.

ჩვენს ქვეყნებს, ევროპის სხვა სახელმწიფოებს გადაეხადათ ორი მსოფლიო ომის უმძიმესი განსაცდელი, რომლებმაც მათ მოუტანა აუოსაცხელი ტანჯვა და მსხვერპლი. ახლა ისინი იდგებიან მშვიდობის პირობებში ფართო და ნაყოფიერი თანამშრომლობის გზას. დარწმუნებული ვარ, რომ წარსულის გაკვეთილები, ისევე როგორც დღევანდელი დღის სინამდვილე, საშუალებას მისცემს ევროპის ხალხებს ღირსეულად შეაფასონ ამჟამად დასახული ჰორიზონტები, უზრუნველყონ მუდმივი და განუხრელი პროგრესი საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელების საქმეში. იმაო, ვისაც სურს ხელი შეუშალოს ამ პროცესს, ხელმძღვანელობენ რა თავიანთი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებით, თვალი წარსულზე რჩებათ და სურთ გამოიწვიონ ახალი გართულებანი საერთაშორისო პოლიტიკაში.

გერ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ საზალზე მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების შესწორებათა გათვალისწინებით.

მუხლი 2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმის შემდეგი ძირითადი მაჩვენებლები:

	(მატება პროცენტობით 1975 წლთან შედარებით)
ეროვნული შემოსავალი	5,0
მრეწველობის პროდუქცია	4,7
სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ მეურნეობაში	12,0
საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვა	3,7
შრომისნაყოფიერება რესპუბლიკური დაქვემდ. ბარების მრეწველობაში	2,0
ხელფასის ფონდი რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში	8,5
მოგება რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების სამრეწველო სწავლიანობიდან	14,4
სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა	4,0

მუხლი 3. გადიდდეს 1976 წელს 1975 წელთან შედარებით:

რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე	4,3 პროცენტით
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება	9,6 პროცენტით
ბავშვთა რიცხოვნობა სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ სკოლამდელ დაწესებულებებში	3,7 პროცენტით
მოსწავლეთა რიცხოვნობა გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში	7,1 პროცენტით
მოსწავლეთა მიღება საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში	11,5 პროცენტით
მოსწავლეთა მიღება საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის განყოფილებაზე	3,5 პროცენტით
სტუდენტთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებებზე	3,4 პროცენტით
საავადმყოფო საწოლების რაოდენობა	4,7 პროცენტით

აშენდეს 1976 წელს საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ მეურნეობაში 379 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები.

მუხლი 4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნაში, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატების მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე**

თბილისი, 1975 წლის 17 დეკემბერი.

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 1.903.021 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში 1.816.874 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 86.147 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე**

თბილისი, 1975 წლის 17 დეკემბერი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1975 წლის 17 ივლისისა — „საქართველოს სსრ წყლის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის რედაქციის შეცვლის შესახებ“;

1975 წლის 28 აგვისტოსი — „ნარკომანიით დაავადებულთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“;

1975 წლის 28 აგვისტოსი — „ქრონიკული ალკოჰოლიკების იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ“;

1975 წლის 28 აგვისტოსი — „ქრონიკული ალკოჰოლიკებისა და ნარკომანიით დაავადებულთა სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის დებულების დამტკიცების შესახებ“;

1975 წლის 28 აგვისტოსი — „თბილისის ხაჭალაქო სასამართლოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“;

1975 წლის 5 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 234-ე მუხლში ცვლილებათა შეტანის შესახებ“;

1975 წლის 5 ნოემბრისა — „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განზრახ განადგურებისა ან დაზიანებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“;

1975 წლის 5 ნოემბრისა — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დამატებათა შეტანის შესახებ“;

1975 წლის 5 ნოემბრისა — „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების ჭვრილმანი გატაცების სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესის შეცვლის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე**

თბილისი, 1975 წლის 17 დეკემბერი.

თბილისში ჩამოვიდა ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრი

ვენესუელის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი რამონ ესკოვარ სალომი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფება საბჭოთა მთავრობის მოწვევით, 19 დეკემბერს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა.

მინისტრთან ერთად ჩამოვიდნენ ქვეყანაში მოგზაურობის დროს მისი თანმხლები პირნი სსრ კავშირის ელჩი ვენესუელაში ვ. ნ. კაზიმიროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი შ. დ. კიკნაძე და სხვა ოფიციალური პირნი.

ჩამოსვლის დღეს რ. ესკოვარ სალომმა დათვალიერა ქალაქი, მისი ღირსშესანიშნაობანი. ვენესუელის მინისტრი ეწვია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. საღამოს იგი დაესწრო ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის „ორერას“ კონცერტს. სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი მორთული იყო ვენესუელის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ ალმებით. სტუმარს მიესალმა რესპუბლიკის კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ნ. ხ. ბურაბანიძე. (საქინფორმი).

ბეგობრული საუბარი

ვენესუელის საგარეო საქმეთა მინისტრი რ. ესკოვარ სალომი 19 დეკემბერს მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, საგარეო საქმეთა მინისტრმა შ. დ. კიკნაძემ, რომელიც სტუმარს მიესალმა, გამოთქვა იმედი, რომ სსრ კავშირში რ. ესკოვარ სალომის ვიზიტი ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-ვენესუელის ურთიერთობის გაფართოებას.

ვენესუელის მინისტრმა თქვა, მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა ჩამოვსულიყავი საქართველოში — საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბლიკაში და რაც შეიძლება სრულად და ახლო გავცნობოდი მისი ცხოვრების სხვადასხვა მხარეს.

საუბრის დროს შ. დ. კიკნაძემ რ. ესკოვარ სალომს გააცნო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის მიღწევები.

საუბარს დაესწრნენ ვენესუელაში სსრ კავშირის ელჩი ვ. ნ. კაზიმიროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილების გამგე ნ. ბ. ალექსეევი, საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ნ. გორდელაძე, აგრეთვე საბჭოთა კავშირში ვენესუელის ელჩი რ. ბურელი რივასი. (საქინფორმი).

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მიღებულ შესწორებების გათვალისწინებით: სულ შემოსავლის ნაწილში 1.774.462 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.774.462 ათასი მანეთი და ამას გარდა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1977 წლის 1 იანვრისათვის 63.000 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 2. დაწესდეს საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან — ბრუნვის გადასახადი, საწარმოო ფონდების საგასური, ფიქსირებული გადასახდელები, მოგების თავისუფალი ნაშთი, მოგების ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადი და სხვა შემოსავალი სოციალისტური მეურნეობისაგან — სულ 1.586.797 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 3. დაწესდეს საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად — საშენებლო ინდუსტრიის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, სამანათო-კომუნალური მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი განვითარებისათვის — სულ 738.795 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 4. დაწესდეს საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის — საერთო საგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, მაბალეთოეკების, კლუბების, თეატრების, პრესის, ტელევიზიის, რადიომაუწყებლობისა და კინოფიკაციის, ბიბლიოთეკების, ხელოვნების, ფიზიკური კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის და ფიზიკური კულტურის სხვა დაწესებულებებისათვის; პენსიებისა და დახმარებისათვის—სულ 959.124 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით 201.800 ათასი მანეთი.

მუხლი 5. დაწესდეს საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ასიგნებანი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, სასამართლო ორგანოების შესანახად 28.448 ათასი მანეთის ოდენობით.

მუხლი 6. დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1976 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შემოსავლის ნაწილში 1.663.758 ათასი მანეთი და გასავლის ნაწილში 1.187.504 ათასი მანეთი, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებსა და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან საქართველოს სსრ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 476.254 ათასი მანეთი, გარდა ამისა, საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთი 1977 წლის 1 იანვრისათვის 36.000 ათასი მანეთი.

მუხლი 7. დაწესდეს საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტები და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი ბიუჯეტები 1976 წლისათვის შემდეგი თანხებით:

(ათას მანეთობით)

	შემოსავალი	მათ შორის: ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან	გასავალი	საბიუჯეტო სახსრების ნაშთი 1977 წლის 1 იანვრისათვის
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	62.542,2	50.773,3	62.542,2	3.097
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	44.484,2	35.014,6	44.484,2	2.213
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	20.060,2	17.525,3	20.060,2	993
4. ქალაქი თბილისი	148.713,9	106.682,2	148.713,9	4.441
5. ქალაქი ქუთაისი	24.082,0	16.741,9	24.082,0	1.194
6. ქალაქი ფოთი	5.503,8	4.208,1	5.503,8	269
7. ქალაქი ჭიათურა	8.024,6	7.238,8	8.024,6	399
8. ქალაქი რუსთავი	14.599,2	10.340,2	14.599,2	712
9. ქალაქი გორი	6.324,1	4.548,0	6.324,1	311
10. ქალაქი ტყიბული	4.884,3	4.406,3	4.884,3	242
11. ქალაქი ზუგდიდი	5.652,0	4.625,5	5.652,0	281
12. აბაშის რაიონი	3.346,8	3.025,5	3.346,8	164
13. ადიგენის რაიონი	2.742,9	2.599,7	2.742,9	130
14. ამბროლაურის რაიონი	3.216,1	2.944,7	3.216,1	155
15. ასპინძის რაიონი	2.378,1	2.281,2	2.378,1	117
16. ახალქალაქის რაიონი	6.722,5	6.240,9	6.722,5	334
17. ახალციხის რაიონი	5.871,9	5.265,8	5.871,9	286
18. ახმეტის რაიონი	4.744,2	4.278,5	4.744,2	235
19. ბოგდანოვკის რაიონი	4.437,9	4.201,9	4.437,9	220
20. ბოლნისის რაიონი	5.936,9	5.395,3	5.936,9	295
21. ბორჯომის რაიონი	4.263,5	3.726,1	4.263,5	210
22. გარდაბნის რაიონი	7.592,2	6.541,7	7.592,2	378
23. გეგეჭკორის რაიონი	5.329,1	4.964,6	5.329,1	264
24. გორის რაიონი	6.365,7	5.556,6	6.365,7	316
25. გურჯაანის რაიონი	6.095,4	4.886,2	6.095,4	303
26. დმანისის რაიონი	4.499,1	4.236,7	4.499,1	223
27. დუშეთის რაიონი	4.574,8	4.020,9	4.574,8	225
28. ვანის რაიონი	3.973,6	3.549,7	3.973,6	197
29. ზესტაფონის რაიონი	6.463,9	5.508,0	6.463,9	321
30. ზუგდიდის რაიონი	6.811,5	6.144,8	6.811,5	338
31. თეთრი წყაროს რაიონი	4.004,2	3.538,7	4.004,2	199
32. თელავის რაიონი	6.903,1	6.098,7	6.903,1	342
33. თერჯოლის რაიონი	3.977,1	3.252,2	3.977,1	197
34. თიანეთის რაიონი	2.900,4	2.690,2	2.900,4	140
35. კასპის რაიონი	4.662,3	3.985,5	4.662,3	227
36. ლაგოდეხის რაიონი	5.038,9	4.495,5	5.038,9	251
37. ლანჩხუთის რაიონი	4.305,1	3.671,9	4.305,1	214
38. ლენტეხის რაიონი	2.764,7	2.643,7	2.764,7	135
39. მაიაკოვსკის რაიონი	3.608,8	3.075,3	3.608,8	178
40. მარნეულის რაიონი	8.390,9	7.256,2	8.390,9	417
41. მახარაძის რაიონი	7.938,2	6.841,1	7.938,2	395
42. მესტიის რაიონი	3.568,4	3.474,6	3.568,4	174
43. მცხეთის რაიონი	4.929,4	4.307,6	4.929,4	249
44. ონის რაიონი	2.720,1	2,511,5	2.720,1	132
45. ორჯონიკიძის რაიონი	3.994,4	3.700,6	3.991,4	193
46. საგარეჯოს რაიონი	3.956,2	3.614,4	3.956,2	196
47. სამტრედიის რაიონი	5.516,9	4.557,7	5.516,9	266
48. საჩხერის რაიონი	4.264,3	3.692,5	4.264,3	210
49. სოღნაღის რაიონი	4.853,5	4.234,7	4.853,5	241
50. ქარელის რაიონი	4.369,9	3.705,2	4.369,9	217
51. უაზბეგის რაიონი	1.855,8	1.711,1	1.855,8	90
52. უვარლის რაიონი	4.129,1	3.637,5	4.129,1	205
53. ჩობალაურის რაიონი	3.682,8	3.412,9	3.682,8	182
54. ჩხოროწყუს რაიონი	4.169,1	3.847,4	4.169,1	207
55. ცაგერის რაიონი	3.056,4	2.836,6	3.056,4	151
56. ცხაკაიას რაიონი	5.185,5	4.528,1	5.185,5	254
57. წალენჯიხის რაიონი	4.568,7	4.132,9	4.568,7	227
58. წალკის რაიონი	5.465,7	5.030,7	5.465,7	271
59. წითელწყაროს რაიონი	3.940,2	3.493,6	3.940,2	195
60. წულუკიძის რაიონი	4.098,9	3.668,9	4.098,9	203
61. წყალტუბოს რაიონი	5.571,6	4.075,8	5.571,6	277
62. ხაშურის რაიონი	4.777,0	3.901,7	4.777,0	236
63. ხობის რაიონი	3.553,8	3.154,0	3.553,8	175
სულ	586.958,0	476.254,0	586.958,0	26.100

მუხლი 8 დამტკიცდეს 1976 წლისთვის საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლების ანარიცხები საქართველოს სსრ ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივ ბიუჯეტებში შემდეგი ოდენობით:

ა) სატყეო შემოსავლიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადიდან და სახოფლო-სამეურნეო გადასახადიდან — 100 პროცენტი;

ბ) ფულისა და ნივთების ლატარიების შემოსავლიდან — 100 პროცენტი;

გ) მოსახლეობის შენობების, სოფლისა ქონების და ცხოველების ნებაყოფლობითი დაზღვევის, უბედური შემთხვევებისაგან მოქალაქეთა ინდივიდუალური დაზღვევის, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ანგარიშში მუშაკთა დაზღვევის გადასახდელებიდან — 100 პროცენტი;

დ) მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან, სსრ კავშირის უცოლო, უშვილო მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან და ბრუნვის გადასახადიდან შემოსული თანხებიდან;

	ანარიცხების პროცენტები: მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადიდან	სსრ უცოლო, უშვილო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთა გადასახადიდან	ბრუნვის გადასახადიდან
1. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	27	90	68,2
2. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	43	59	65,4
3. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	100	100	98,1
4. ქალაქი თბილისი	23	30	16,5
5. ქალაქი ქუთაისი	20	89	17,5
6. ქალაქი ფოთი	100	100	39,2
7. ქალაქი ჭიათურა	50	100	45,7
8. ქალაქი რუსთავი	81	100	21,6
9. ქალაქი გორი	74	100	88,4
10. ქალაქი ტყიბული	100	100	89,3
11. ქალაქი ზუგდიდი	50	100	67,2
12. აბაშის რაიონი	50	100	97,7
13. ადიგენის რაიონი	50	100	79,1
14. ამბროლაურის რაიონი	66	100	88,0
15. ასპინძის რაიონი	62	100	88,7
16. ახალქალაქის რაიონი	50	100	78,9
17. ახალციხის რაიონი	50	100	56,8
18. ახმეტის რაიონი	70	100	85,5
19. ბოგდანოვკის რაიონი	50	100	27,5
20. ბოლნისის რაიონი	100	100	14,9
21. ბორჯომის რაიონი	50	100	22,8
22. გარდაბნის რაიონი	20	100	27,0
23. გეგეჭკორის რაიონი	50	100	43,7
24. გორის რაიონი	50	100	25,1
25. გურჯაანის რაიონი	50	100	40,9
26. დმანისის რაიონი	100	100	15,0
27. დუშეთის რაიონი	100	100	14,7
28. ვანის რაიონი	50	100	65,5
29. ზესტაფონის რაიონი	50	100	32,6
30. ზუგდიდის რაიონი	60	100	37,2
31. თეთრი წყაროს რაიონი	100	100	67,0
32. თელავის რაიონი	50	100	29,7
33. თერჯოლის რაიონი	50	100	72,4
34. თიანეთის რაიონი	100	100	67,6
35. კასპის რაიონი	50	100	23,1
36. ლაგოდეხის რაიონი	50	100	34,8
37. ლანჩხუთის რაიონი	50	100	33,0
38. ლენტეხის რაიონი	99	100	87,9
39. მაიაკოვსკის რაიონი	100	100	82,3
40. მარნეულის რაიონი	50	100	9,0
41. მახარაძის რაიონი	40	100	56,6
42. მესტიის რაიონი	52	100	79,7
43. მცხეთის რაიონი	30	100	55,7
44. ონის რაიონი	50	100	84,8
45. ორჯონიკიძის რაიონი	100	100	95,3
46. საგარეჯოს რაიონი	50	100	80,5
47. სამტრედიის რაიონი	30	100	19,0
48. საჩხერის რაიონი	50	100	42,7
49. სიღნაღის რაიონი	50	100	62,6
50. ქარელის რაიონი	50	100	95,3
51. უაზბეგის რაიონი	91	100	69,9
52. უვარლის რაიონი	50	100	74,9
53. ჩობალაურის რაიონი	50	100	69,3
54. ჩხოროწყუს რაიონი	50	100	95,4
55. ცაგერის რაიონი	100	100	69,4
56. ცხაკაიას რაიონი	50	100	14,7
57. წალენჯიხის რაიონი	50	100	69,7
58. წალკის რაიონი	43	100	82,0
59. წითელწყაროს რაიონი	50	100	9,3
60. წულუკიძის რაიონი	50	100	32,2
61. წყალტუბოს რაიონი	50	100	41,7
62. ხაშურის რაიონი	43	100	3,4
63. ხობის რაიონი	50	100	34,6

მუხლი 9. გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებში (შემდგომში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოების ბიუჯეტებზე გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტებში, შემდეგი ოდენობით:

	პროცენტებში		პროცენტებში
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	20	ლაგოდეხის რაიონი	10
ქალაქი ჭიათურა	35	ლანჩხუთის რაიონი	12
ქალაქი ტყიბული	12	ლენტეხის რაიონი	50
აბაშის რაიონი	17	მაიაკოვსკის რაიონი	15
ადიგენის რაიონი	38	მარნეულის რაიონი	10
ამბროლაურის რაიონი	19	მახარაძის რაიონი	5
ასპინძის რაიონი	40	მესტიის რაიონი	49
ახალქალაქის რაიონი	15	მცხეთის რაიონი	10
ახალციხის რაიონი	22	ონის რაიონი	26
ახმეტის რაიონი	16	ორჯონიკიძის რაიონი	23
ბოგდანოვკის რაიონი	20	საგარეჯოს რაიონი	12
ბოლნისის რაიონი	21	სამტრედიის რაიონი	10
ბორჯომის რაიონი	15	საჩხერის რაიონი	13
გარდაბნის რაიონი	10	სიღნაღის რაიონი	3
გეგეჭკორის რაიონი	20	ქარელის რაიონი	7
გორის რაიონი	8	უაზბეგის რაიონი	35
გურჯაანის რაიონი	5	უვარლის რაიონი	14
დმანისის რაიონი	29	ჩობალაურის რაიონი	19
დუშეთის რაიონი	17	ჩხოროწყუს რაიონი	23
ვანის რაიონი	16	ცაგერის რაიონი	29
ზესტაფონის რაიონი	13	ცხაკაიას რაიონი	10
ზუგდიდის რაიონი	14	წალენჯიხის რაიონი	15
თეთრი წყაროს რაიონი	12	წალკის რაიონი	23
თელავის რაიონი	11	წითელწყაროს რაიონი	10
თერჯოლის რაიონი	10	წულუკიძის რაიონი	19
თიანეთის რაიონი	29	წყალტუბოს რაიონი	8
კასპის რაიონი	9	ხაშურის რაიონი	7
		ხობის რაიონი	15

მუხლი 10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში, აგრეთვე დეპუტატთა წინადადებანი და შენიშვნები, გამოთქმული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე და მიიღოს მათ მიხედვით შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე**

თბილისი, 1975 წლის 17 დეკემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1974 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, დეპუტატ დ. ვ. გელაშვილის თანამოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც საბჭოთა ქვეყნის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა განიხილა ნელი ქვეყნის 1976 წლის, მეათე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და მოიწონა ისინი.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმით, რომელიც მიიღო და დაამტკიცა სსრ ქართველის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ, დასახულია ახალი ამოცანები მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხისა და წარმოების ეფექტიანობის მკვეთრად ამაღლებისათვის, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ მეცხრე ხუთწლედში ჩაეყარა. მეცხრე ხუთწლედი კი, როგორც თქვენთვის ცნობილია, აღსავსე იყო მნიშვნელოვანი მოვლენებით, პირველ რიგში მიწდა აღვნიშნო მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობის შემდგომი განმტკიცება, რომლის ინიციატორია საბჭოთა ქვეყანა და მისი კომუნისტური პარტია.

დეკემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზა პარტიისა და ხალხის მიერ მეცხრე ხუთწლედში გაწეული უდიდესი მუშაობა კომუნისტური პარტიის მიზნადასახულობათა განსახორციელებლად და მეცნიერულად დასაბუთა მომავალში ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებანი. მის გამოსვლაში გაკეთებულ დასკვნებსა და დებულებებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლების უზრუნველსაყოფად.

გუშინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმისა და 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და მოიღო შესაბამისი დადგენილება, რომლის განხორციელება ფიდად შეუწყობს ხელს გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულებას.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ თქვენ მოისმინეთ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის, ამხ. ე. ჯაფარიძისა და ფინანსთა მინისტრის ამხ. ფ. ანანიაშვილის დაწვრილებითი მოხსენებები. ამიტომ მე ნათქვამს არ გავიმეორებ და დეპუტატების ყურადღებას შევაჩერებ მათი შესრულების და მომავალი წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების ზოგიერთ ძირითად საკითხზე. მინდა მოგახსენოთ, რომ სესიაზე განსახილველი გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები წინასწარ განხილულ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ და დარგობრივმა კომისიებმა. აღსანიშნავია, რომ კომისიებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ დეპუტატები თ. შენგელაშვილი, ნ. გაბუნია, ს. დურმიშიძე, დ. ჩხეიძეები, ნ. ნეფედოვი და ს. რიგვავა, ძალიან დიდი მუშაობა გაწიეს გეგმისა და ბიუჯეტის განხილვასთან დაკავშირებით. წინა წლებისაგან განსხვავებით კომისიის სხდომებზე ლაპარაკი იყო არა მარტო დამატებითი თანხების გამოყოფაზე, არამედ ძირითადად იმ ნაკლოვანებებზე, გამოუყენებელ რეზერვებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის სამინისტროებსა და უწყებებში. საწარმო-დაწესებულებებში. გარდა ამისა, კომისიაში შემოვიდა ბევრი წინადადება და შენიშვნა.

ნება მიბოძეთ, მომავალი წლის გეგმების დახასიათებამდე, მოკლედ გავაცნოთ მეცხრე ხუთწლედის და მისი დამამთავრებელი წლის გეგმების შესრულების მიმდინარეობა.

ახლა უკვე თამამად შეიძლება თქვას, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მიერ გაწეულმა დიდმა მუშაობამ უზრუნველყო მეცხრე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება.

წინასწარი მონაცემებით, 1975 წლის ბოლოსათვის მოსალოდნელია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის განვითარების, მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის და გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

წარმატებით სრულდება 1975 წლის სოციალისტური ვალდებულებანი 200 მილიონი მანეთის ზეგეგმითი სამრეწველო ნაწარმის გამოშვებისა და 120 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფოსათვის მიყიდვის შესახებ, რაშიაც განსაკუთრებით დიდი წვლილი შეიტანეს დედაქალაქის სარეწველო საწარმოებმა, აგრეთვე რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ, ქუთაისის საავტომობილო და ბათუმის მანქანათსაშენებლო ქარხნებმა, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა, ქუთაისის ლითოფონის ქარხანამ, ჭიათურის მანგანუმის ტრესტის და სხვა კოლექტივებმა.

მიუხედავად ამისა, როგორც ეს საგეგმო-საბიუჯეტო დარგობრივი კომისიების სხდომებზე აღინიშნა, მრეწველობის ცალკეულ დარგებში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია. პირველ ყოვლისა ეს შეეხება სამინისტროებისა და უწყებების მიერ საწარმოო გეგმების შესრულებას. მართალია, 1974 წლის 11 თვესთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა ჩამორჩენილ საწარმოთა რაოდენობა, მაგრამ მათი რიცხვი ჯერ კიდევ მაინც დიდია — შეადგენს 141-ს, ანუ საერთო რაოდენობის 14,1 პროცენტს. ამ საწარმოებმა სახალხო მეურნეობას მიმდინარე წლის 11 თვეში დააკლეს 32,6 მილიონი მანეთის პროდუქცია.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სერიოზულ ზიანს აყენებს გამოშვებული პროდუქციის მეტად დაბალი ხარისხი. ამის შედეგად ძალიან დიდი რაოდენობით დაგროვდა საწარმოთა საწყობებსა და საავეჯო ქსელში გაუსაღებელი ძნელად სარეალიზაციო სამრეწველო საქონელი. წუნდებული პროდუქციის გამოშვების გამო რესპუბლიკის მარტო 9 სამინისტრომ და უწყებამ გაგვლილ 4 წელიწადში და 9 თვეში ჯარიმებისა და საურავების სახით გადიხადეს 112,4 მილიონი მანეთი.

პროდუქციის დაბალ ხარისხზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გამოშვებული პროდუქციის მთელ მოცულობაში უმაღლეს კატეგორიის ნაწარმი შეადგენს მხოლოდ 1,97 პროცენტს, პირველი ხარისხისა — 48,9 პროცენტს, ხოლო 47,5 პროცენტი საერთო ატესტაციის და სახელმწიფო გარანტიის გარეშეა. 12 ათასი დასახელების პროდუქციიდან ხარისხის სახელმწიფო ნიშანს ატარებს მხოლოდ 256.

კარგი მაჩვენებლებით ამთავრებენ მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის მშრომელები. რესპუბლიკის სახელოვნებმა მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 334 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 25 ათასი ტონით აღემატება მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულებას. სახელმწიფოს მიეყიდა 408 ათას ტონაზე მეტი ციტრუსოვანი ნაყოფის დამზადების სახელმწიფო გეგმები.

დიდი შრომითი გამარჯვებაა მოპოვებული ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებმა — ადამდე დაამთავრეს და სარეკონსტრუქციოდ გადასცეს მდინარე ენგურის წყლის გადასაგდებად საერო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კომპლექსის მშენებლობა.

სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულების შედეგად გადაჭარბებით სრულდება 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში.

თქვენს განსახილველად წარმოდგენილ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმასა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობის დარგების შემდგომ განვითარებას, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებას. ეკონომიკურ მრეწველობის მთლიანი პროდუქციის გამომუშავება გადიდდება 4,7 პროცენტით.

ამხანაგო დეპუტატებო! პარტიამ თანამედროვე პირობებში სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად პრობლემად მთელი მუშაობის ხარისხის შემდგომი ამაღლება განსაზღვრა. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, ეს შეეხება ჩვენი გეგმების ხარისხსაც; ეს შეეხება მმართველობის ხარისხის ამაღლებას — დაწყებული საწარმოო აპარატის ძირეული რგოლებით და დამთავრებული მეურნეობის ცენტრალური ორგანოებით; ეს ეხება შრომის დისციპლინის განტკიცებას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

ყოველივე ეს კი ძალიან დიდ, სერიოზულ ამოცანებს აყენებს თვითეული მშრომელის, საწარმოს, სამინისტროს, უწყების წინაშე, ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე.

ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გადიდდება სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ბრუნვა; ფართოვდება მოცულობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა მოლიანად რესპუბლიკაში გაიზრდება 9,6 პროცენტით, აქედან სოფლად — 15,6 პროცენტით.

ამხანაგო დეპუტატებო! სესიის მინდა მოვახსენო, რომ ბიუჯეტის მთლიანად შესრულების მიუხედავად, ყველა სამინისტრო, უწყება, საწარმო და სამეურნეო ორგანიზაციამ თანაბარი პასუხისმგებლობით არ ეკიდება ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა შესრულებას.

მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემების მიხედვით მოგების გეგმა ვერ შესრულეს: მსუბუქი მრეწველობის, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის, მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და ზოგიერთი სხვა სამინისტროსა და უწყების საწარმოებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა. აღსანიშნავია, რომ მდგომარეობა მაინცდამაინც არც ათი თვის შედეგების მიხედვით არის უკეთესი.

განსაკუთრებული გულისწყრომით გვინდა აღვნიშნოთ, რომ წლიდან წლამდე აუთვისებელი რჩება სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი ასიგნებანი. აუთვისებელი დარჩა ამ მიზნით გამოყოფილი 54 მილიონ მანეთზე მეტი, მათ შორის მარტო სახალხო განათლებისა და კულტურისათვის — 40 მილიონი მანეთი.

ყოველივე შეუწყნარებელია ის, რომ აუთვისებელია საზოგადოებრივი კვების, ინვენტარის, კაპიტალური რემონტის სამშენებლისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრები, რის ფაქტებსაც, სამწუხაროდ, არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით. შესაბამისმა სამინისტროებმა და, განსაკუთრებით, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა აქედან სერიოზული დასკვნები უნდა გამოიტანონ.

როგორც გასული წლების შედეგებმა გვიჩვენებს, ცალკეული სამინისტროები, უწყებები, საწარმოები, მშენებლობები, სამეურნეო ორგანიზაციებიდან არ ასრულებენ დავალებებს სამმართველო აპარატის სრულყოფისა და გაიაფების შესახებ, რასაც მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ალბათ მოუხდება ამ მიმართებით უფრო კონკრეტული ღონისძიებების გატარება.

ამხანაგო დეპუტატებო! ნება მიბოძეთ თქვენი ყურადღება მივაპყრო საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ზოგიერთ საკითხს.

საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი შედგენილია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმის ძირითადი მაჩვენებლების შესაბამისად და, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, ეს შეეხება ჩვენი გეგმების ხარისხსაც; ეს შეეხება მმართველობის ხარისხის ამაღლებას — დაწყებული საწარმოო აპარატის ძირეული რგოლებით და დამთავრებული მეურნეობის ცენტრალური ორგანოებით; ეს ეხება შრომის დისციპლინის განტკიცებას და პროდუქციის ხარისხის ამაღლებას.

ყოველივე ეს კი ძალიან დიდ, სერიოზულ ამოცანებს აყენებს თვითეული მშრომელის, საწარმოს, სამინისტროს, უწყების წინაშე, ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე.

ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გადიდდება სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო ბრუნვა; ფართოვდება მოცულობა, საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის მოცულობა მთ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის, დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის

საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ დიდი გულისყურით და ყურადღებით განიხილა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმის პროექტი.

უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის, დარგობრივი კომისიების თანამოხსენებებში და დასკვნებში, ადრეული სესიაზე გამოსულ დეპუტატთა სიტყვებში ერთსულოვნად არის მოწონებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმის წარმოდგენილი პროექტი. ამავე დროს აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების 1976 წლის გეგმა უზრუნველყოფს რესპუბლიკის ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერებას. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის და მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას.

აქ გამოთქმული წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები უნდა გათვალისწინონ სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა, მშენებლობებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ხელმძღვანელებმა, რა თქმა უნდა, საგეგმო კომიტეტის ხელმძღვანელობ ა მ ა ც. რაც ხელს შეიწყობს რესპუბლიკის წინაშე დასახული დიდი ამოცანების წარმატებით შესრულებას, წარმოების ინტენსიფიკაციის, სახალხოსნო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, ბრიგადული ხარისხის გაუმჯობესების, მატერიალური და ფინანსური რესურსების მომჭირნეობის ხარჯვის.

აქ გამოსულმა დეპუტატებმა დიასამძეძე, ქვარაიამ, ბელაევამ და ნიკიფორაძემ ალაპარაკეს კლუბების, სკოლების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების, საავადმყოფოების და სპორტული ნაგებობების გაფერფოებისა და მშენებლობის შესახებ.

როგორც მოგეხსენებათ, კაპიტალური დაბანდების 1976 წლის გეგმა გათვალისწინებულია განათლების დარგისათვის თითქმის 20 პროცენტით მეტი მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით, ჯანმრთელობის დაცვისათვის 25 პროცენტით მეტი. ასე რომ დამატებითი სახსრების გამოყოფა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

ამასთანავე, მე მინდა ისევ მოგახსენოთ, რომ წლიურის გათვლების ობიექტების მშენებლობაზე 4 მილიონი მანეთი რჩება აუთვისებელი, ხოლო სამიდიანი დაწესებულებების მშენებლობაზე — 5 მილიონი მანეთი.

სათანადო სამინისტროებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს და ადგილობრივი საბჭოების მთავარი ამოცანა ის არის, რომ მთლიანად უზრუნველყონ სახსრების ათვისება, რომლებიც გამოყოფილია ამ დანიშნულებით, არ დაშვან საგეგმო დავალებების შეურსულობა.

დეპუტატებმა პატიეშვილმა, ბელიაევმა, დვალიშვილმა, მარკვილაძე, ბედუკაძემ დასვეს საკითხები კომუნალური და ადმინისტრაციული მშენებლობისა და კაპიტალური დაბანდების გადიდების შესახებ.

1976 წლის გეგმით რესპუბლიკური დაქვემდებარების კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილია სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება 45 900 ათასი მანეთის ოდენობით.

ამიტომ ზუსტდება სამინისტროების და უწყებების წილობრივი მონაწილეობა ამ დარგის ობიექტების მშენებლობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად 1975 წელს ათვისებული რჩება დაახლოებით 7 მილიონი მანეთი, რაც მთელი მოცულობის 15 პროცენტს შეადგენს.

კომუნალური დანიშნულების ახალი ობიექტების მშენებლობის დასაწყებად დამტკიცებითი სახსრების გამოყოფის საშუალება არ გაგვაჩნია.

შემკვეთმა და სამშენებლო ორგანიზაციებმა ადგილობრივი საბჭოების ქმედითი დახმარებით უნდა უზრუნველყონ გამოყოფილი სახსრების მთლიანი ათვისება, და რაც მთავარია, სამძღვარეთების დროულად ამოქმედება.

დეპუტატებმა ბელიაევმა და დვალიშვილმა თავიანთ გამოსვლებში ითხოვეს ამოთოვის ბანბები ახალი ობიექტების მშენებლობისათვის.

ყველთვლური უნდა ვიფიქროთ, რომ ახალი მშენებლობის ობიექტებზე სახსრები არ დაიბანდოთ, არ დავიხარჯოთ და დავიმთავროთ ყველა ის მშენებლობა, რომელიც უკვე დაწყებულია.

დეპუტატმა დასამძეძემ დააყენა საკითხი ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის მშენებლობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ ობიექტის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის დასაბამი 1976 წელს. ამ ობიექტის მშენებლობისათვის გამოყოფილია სახსრები. ამ საკითხზე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გამოიტანა თავისი გადაწყვეტილება.

დეპუტატმა დოლიძემ ობიექტურად დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოში აშენდეს ავეჯის სპეციალიზებული მაღაზია. მინდა სესიის მოგახსენო, რომ გასულ თებერვალში გამოიყოფა 250 ათასი ჯადარატული მეტრი ფართობი ასეთი მაღაზიის მშენებლობისათვის და გამოიყოფა 900 ათასი მანეთი. აღინიშნული მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის დამტკიცება უნდა მოხდეს 1977 წლისათვის.

დეპუტატმა ნიკიფორაძემ დააყენა საკითხი, რომ მესტიაში 1977 წელს დაიწყოს მთამსველთა პანსიონატისა და სპორტული ბაზების მშენებლობა.

უნდა მოგახსენოთ, რომ 1976 წელს მზად იქნება საპროექტო დოკუმენტაცია ამ ობიექტების მშენებლობისათვის. თანხები გამოყოფილია ძალების ახალი კამპანიის მოწყობის შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მხარდასაჭერად ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა 19 დეკემბერს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში.

მიტინგი გახსნა საავადმყოფოს ლისწინებული იქნება მისი მშენებლობა.

დეპუტატმა ნიკიფორაძემ ასევე დასვა გზების მშენებლობის საკითხი. მინდა მოგახსენო სესიას, რომ ჯვარ-ნაშაშის გზის მშენებლობისათვის გათვალისწინებულია დაახლოებით 4 მილიონი მანეთი. ასეთივე თანხაა გათვალისწინებული მომავალი წლისთვისაც.

დამატებითი სახსრების გამოყოფის საშუალება მომავალ წელს არ გვაქვს.

რაც შეეხება მესტიაში სამგარი სამშენებლოების შესრულებას. დადგენილებით ეს სამშენებლოები გათვალისწინებულია 1975-1980 წლებისათვის. მზადდება საპროექტო სამუშაოები. ასე რომ, დადგენილების შესრ ულ ებ ა უთუოდ უზრუნველყოფილი იქნება.

მიმდინარე სესიაზე დეპუტატებმა შემოიტანეს კიდევ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. მათ შორის დეპუტატმა ზ. ანჯაფარიძემ დააყენა საკითხი, რომელიც ეხება რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა გამოთქმული წინადადება და შენიშვნა გულდასმით იქნება განხილული და შესწავლილი. დეპუტატმა ანჯაფარიძემ ყურადღება გამახვილა ავტოტრანსპორტით კულტურის მუშაკთა მომსახურების გაუმჯობესებისა და ამ მიზნით სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფის შესახებ. ეს საკითხი ყურადღებით იქნება განხილული, მაგრამ გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ გამოვყოფთ საჭირო სახსრებს ზუსტად იმ მოცულობით და რაოდენობით, როგორც ეს მან მოითხოვა. ასევე დახმარებას აღმოვუჩენთ ისტორიული ძეგლების მოწესრიგებისათვის მასალების გამოსაყოფად.

ამხანაგო დეპუტატებო! თქვენს მიერ შემოტანილი დიდმნიშვნელოვანი წინადადებები და კრიტიკული შენიშვნები მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას, ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას, სახალხო მეურნეობაში არსებული რეზერვების გამოყენებას. მატერიალური, შრომითი და თანანსური რესურსების რაციონალურ მოხმარებას.

რეზერვების გამოვლენა მოითხოვს საწარმოების, მშენებლობის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და ორგანიზაციების სამეურნეო საქმიანობის ძირეულ გადამჯობესებას. პარტიული, სახელმწიფო, სათანანსო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას. რის შესახებაც ხაზგასმით იქნა აღნიშნული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წლიურ დღეს ფოთის პლენუმზე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში და სათანადოდ აისახა პლენუმის გადაწყვეტილებებში. ამ საკითხზე იქნა აქ ყურადღება გამახვილებული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ამბ. ედუარდ აბაროსის-ძე შევardნაძის მოხსენებაში და სხვა ამხანაგების გამოსვლებში.

საქართველოს მშრომელებს კარგად აქვთ შენარჩუნული, რომ ახალი გრანდიოზული ამოცანების განხორციელება რესპუბლიკის მშრომელებისგან მოითხოვს დიდ შემოქმედებითს შრომას, პარტიის XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტური შეჯიბრე ბ ი ს ფართო მასშტაბით გაშლას. საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რათა მეათე ხუთწლედი კიდევ ეფექტიანობის. ხარისხის ხუთწლედი, რომელიც უზრუნველყოს ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომ აყვავების და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს მშრომელები, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ყველაფერს გააკეთებენ ამ საპატიო ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. (ტაში).

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ფ. ა. ანანიაშვილის

საბოლოო სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობს ორი ხუთწლედის მიჯნაზე, იმ დღეებში, როცა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები ღირსეულად ამთავრებენ მეცხრე ხუთწლედის გეგმის დიდებული პროგრამის შესრულებას და ეწყრიფვიან ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ სკკპ XXV ყრილობასა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას.

საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, წარმოდგენილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად. და იგი მთლიანად და ერთსულოვნად მოიწონეს საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა, აგრეთვე ყველა გამოსულმა დეპუტატმა.

საქართველოს სსრ 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად შეესაბამება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის იმ ამოცანებს, რომლებიც დასახეს პარტიის XXIV ყრილობამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის დეკემბრის პლენუმმა, და ამოცანებს, რომლებიც წამოყენებულია საქართველოს კომპარტიის XIX პლენუმზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევardნაძის გამოსვლაში.

საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივმა კომისიებმა საჭიროდ სცნეს შემოეტანათ ზოგიერთი წინადადებანი რესპუბლიკის 1976 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დასაზუსტებლად. ეს წინადადებები ჩამოყალიბებულია საგეგმო-საბიუჯეტო და დარგობრივი კომისიების დასკვნებში. დეპუტატმა დ. ვ. გელაშვილმა დაწერილებთან გაგაცნოთ ისინი.

მე დავალებული მაქვს მოგახსენოთ, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა ეს წინადადებები და შესაძლებლად მიჩნია დაეთანხმოს მათ.

აღნიშნულ წინადადებათა გათვალისწინებით, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა 9.188 ათასი მანეთით გაიზრდება და როგორც შემოსავლის, ისე გასავლის ნაწილში შეადგენს 1.774.462 ათას მანეთს.

დეპუტატების — პატეიშვილის, დვალიშვილის, გოგიტიძის გამოსვლებში აღძრული იყო ქალაქების (რაიონფილენტრების) კეთილმოწყობის, გზაფიკაციისა და თბოფიკაციის, სანიაო ფონდის კაპიტალური რემონტის, გასათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის შენობათა კაპიტალურ რემონტზე ასაგნებათა გაზრდის საკითხები.

ამასთან, დეპუტატი პატეიშვილი ითხოვს გაეზარდოთ სამხრეთ ოსეთის თეატრისა და მუსიკალური კოლექტივების დოტაცია. ადგილობრივი საბჭოების შენობების მშენებლობისათვის, ამავე შენობათა კაპიტალური რემონტისათვის, ინვენტარის შეძენისათვის, ადგილობრივი კურორტების კეთილმოწყობისა და ფიზიკური კულტურის ღონისძიებებისათვის დამატებით გამოიყოს სახსრები.

დეპუტატი ქვარია გვთხოვს ჩაის პლანტაციების სარწყავი სისტემისა და ჩაის ფაბრიკების მშენებლობასთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებულ იქნეს ბიუჯეტით.

ეს საკითხი უნდა განიხილონ და გადაწყვეტონ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და ფინანსთა მინისტრობა ინიციატივებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება ბატერიალიზაცია, მისი შეესება გამალებული შეიარაღების ალაგმვის ღონისძიებებით, აღნიშნეს, თუ რა თვალსაჩინო წვლილი შეაქვს მშვიდობისათვის ბრძოლაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრივი ძალების ახალი კამპანიის მოწყობის შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მხარდასაჭერად ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა 19 დეკემბერს ნ. ყიფშიძის სახელობის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში.

მიტინგი გახსნა საავადმყოფოს ადგილკომის თავმჯდომარემ შ. სამსონიძემ.

საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ლ. ქავთარაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, თუ რა მხურვალედ უჭერენ მხარს ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მოწოდებას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად რესპუბლიკის მედიცინის მუშაკები უდიდესი სიხარულით შეხვდნენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევისათვის ფ. ჟოლიო-კიურის სახელობის „მშვიდობის ოქროს მედლის“ მინიჭების შესახებ. ეს ჯილდო სიმბოლურად გამოხატავს ჩვენი პლანეტის ხალხთა მაღლობას საბჭოთა კავშირისადმი, ლენინური კომუნისტური პარტიისადმი, ესოდენ დიდი წვლილი რომ შეაქვთ ქვეყნად მშვიდობის განმტკიცებაში.

ლაბორატორიის გამგემ ნ. აბაშიძემ, რენტგენოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელმა დ. ჭეპურიშვილმა, საავ დ მ ყ ო ფ ო ს პარტბიუროს მდივანმა გ. მარგველაშვილმა, კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ნ. კვინიხიძემ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებანი“ სახავს მომავლის ახალ პერსპექტივებს, რასთვისაც მშვიდობაა საჭირო.

მიტინგის მონაწილეებმა გამოხატეს მტკიცე გადაწყვეტილება თავიანთი წვლილი შეიტანონ მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლის საქმეში. (საქინფორმი).

მოსკოვის ხელშეკრულების ნაყოფიერი შედეგები

ბონი, 19 დეკემბერი. (საკდესი). გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანომ „ფორვერტსმ“ გამოაქვეყნა სპეციალური დამატება, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობას 1970 წელს მოსკოვის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

დამატება იხსნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მისასალმებელი წერილით.

ყოველკვირეულის ფურცლებზე დაბეჭდილია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის ვ. ბრანდტის, ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის, მეურნეობის მინისტრის გ. ფრიდერიხსის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საქმიანი და სამრეწველო წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლების სტატიები.

როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ვ. ბრანდტი წერს, „ცივი ომის“ ხანგრძლივი წლების შემდეგ დაიწყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის პრაქტიკული თანამშრომლობის ერა. საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა ამის მაგალითია. მოსკოვის ხელშეკრულება, რომელსაც სრული უფლებით უწოდებენ ისტორიულ მოვლენას, მისი ხელმოწერიდან ხუთი წლის მანძილზე ხორციელდებოდა. ჩვენი მთავრობები დიალოგი, წერს ვ. ბრანდტი, უფრო ინტენსიური გახდა, ჩვენ მიკაფწიეთ მნიშვნელოვან პროგრესს ეკონომიკურ თანამშრომლობაში, გაიზარდა კულტურული გაცვლა ჩვენს ხალხებს შორის.

უნდა გამოვიჩინოთ მამაცობა პოლიტიკის განხორციელებისათვის, რომელიც საშუალებას უკეთებს უკანასკნელ გზას „ცივ ომს“, აღნიშნავს ვ. ბრანდტი. ეხება რა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის შედეგებს, იგი აღნიშნავს, რომ ამ თათბირს „არ შეეძლო, როგორც ჯადოსნური ჯოხის აქნევით, გადაეწყვიტა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში არსებული მრავალფერივანი პრობლემები, მაგრამ მიუხედავად ამისა, თათბირის შედეგები აღიარებს ღირსია. ძალითა და ძალის გამოყენებით მუქარაზე უარის თქმა გახდა საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან ჩვენი ხელშეკრულებების საფუძველი.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის ჰ. შმიდტის სტატიაში აღნიშნულია, რომ მოსკოვის ხელშეკრულების დადება ხუთი წლის წინათ გახდა მთავრობის იმ მტკიცე გადაწყვეტილების გამოხატულება, რომ საბჭოთა კავშირთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა გამოყენა უნდობლობისა და შიშის ომისშემდგომი ატმოსფეროდან.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური აღნიშნავს აგრეთვე მოსკოვის ხელშეკრულების დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას. ორმხრივი ურთიერთობის დარგში ურთიერთგაგების ძირითადი პრინციპები, წერს შემდეგ ჰ. შმიდტი, ჰელსინკის თათბირზე საფუძველად დაედო ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობას. ჰელსინკში სახელმწიფოებმა ცნეს იმის აუცილებლობა, რომ „თვითეულ მონაწილემ შეჰქონდეს თავისი წვლილი ერთად მშვიდობისა და „შიშრეკების განმტკიცებაში, „ადამიანურ ძალთა თანადგომის, ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და ადამიანური ურთიერთგაგების „ფაფაზე“. „დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ ამ გზით შეძლებს ევროპა დაიხმაროს საკუთარ თავს და სხვებს“ და შეიტანოს კონკრეტული წვლილი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში“, — აღნიშნავს ჰ. შმიდტი.

მეურნეობის მინისტრი ჰ. ფრიდერიხსი აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ დაძაბულობის შენელების შედეგად ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სახელმწიფოების საკაჭრო და ეკონომიკურ კავშირთან ურთიერთობა ერთ-ერთ ყველაზე უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი გაქანება ენიჭება. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უდიდესი საკაჭრო პარტნიორი გახდა დასავლეთის სახელმწიფოთა შორის. გ. ფრიდერიხსი მხარს უჭერს ევროპის ამ ორი ეკონომიკური ორგანიზაციის კონტაქტების შემდგომ გაფართოებას, ამასთან ხაზს უსვამს, რომ ეს თანამშრომლობა არა თუ სასურველი, პოლიტიკურადაც შესაძლებელია.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებს ეძღვნება ინტერვიუ სამრეწველო კონცერნის „ჰუ ვერკეს“ გამგეობის წევრთან ვ. ზოლლაბთან. „დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებთან ერთად, ხაზს უსვამს იგი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ცენტრში სულ უფრო მეტად ისმება ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხი“.

თვალსაჩინო დასავლეთგერმანელი მრეწველი ე. ვ. მომზენი თავის სტატიაში აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე საოლიანტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვაჭრობის მოცულობა სამჯერ გაიზარდა და 1974 წელს 24 მილიარდ მარკას მიაღწია.

იგი გამოთქვამს რწმენას, რომ შემდგომში ეს ვაჭრობა და ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო გაფართოვდება, შეიძენს ახალ-ახალ ფორმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ურთიერთსარგებლობას ქვეყნებისათვის.

„ფორვერტსის“ დამატებაში გამოქვეყნებულია აგრეთვე სტატიები: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ვ. ნ. ნოვიკოვისა — „მოსკოვის ხელშეკრულება და საბჭოთა კავშირისა და ფედერაციული რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის გაფართოება“, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ნ. ს. პატოლიჩევისა — „შემობრუნების პუნქტი სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობაში“ და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩის ვ. მ. ფალინისა — „დაძაბულობის შენელების პოლიტიკა პრაქტიკაში“, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობისადმი მიძღვნილი მთელი რიგი მასალები, რომელთა ავტორები არიან საბჭოთა საკავშირო-სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ხელშეკრულება ქალაქში შევიდა

ვერლინი. 18 დეკემბერი. (საკდესი). აქ გაიმართა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა. ამ ხელშეკრულებას, როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს მოსკოვში ხელი მოაწერეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამბ. ლ. ი. ბრეჟნევმა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამბ. ე. ჰონეკერმა.

მიმდინარე წლის დეკემბერში ხელშეკრულება დაამტკიცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შესახებ ოქმს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის ელჩმა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბ. ა. აბრასიმოვმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ფიშერმა.

სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

ჟურნალი

ეკ ლ თ ა

საერთაშორისო

ბუშინ მეთორმეტე ტურში ა[illegible] შარუმოვამ მოუგო პოლანელ[illegible] ჩიბურდანიძეს — მიხეს. ი[illegible] ლიანი — ხუგაშვილი, კარაკაშ[illegible] ,ახაბრიშვილი და კობაიძე — [illegible] ჰაილიჩი უთამზე შეთანხმდნენ.

ფინიშის ნ[illegible]

ერევანი. (საკდესი). ჭადრაკ[illegible] ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის [illegible] ბული პარტიების დამთავრებ[illegible] ბრონშტეინმა მოუგო რომანიშინ[illegible] დორფმანმა თამაშის განუახლებლ[illegible] თავი დამარცხებულად სცნო დორ[illegible] კვეინთან შეხვედრაში. ბელიაუსკ[illegible] ფურმანის პარტია კვლავ გადაიდ[illegible]

მე-13 ტურში ტურნირის ლიდერ[illegible] გულკო 31-ე სვლაზე ყაიმზე შეთან[illegible] ხმდა ბრონშტეინს, პეტროსიანმა [illegible] ამარცხა ბელიავსკი, ვაპანიანმა [illegible] კლოვანი, გელერმა — ბალაშო[illegible] მშვიდობიანად დამთავრდა ალტერ[illegible] პოლუგაევსკის, ფურმან-ფეფერ[illegible] შეხვედრები. დორფმეკვიჩ-რომანიშ[illegible] ნის, დორფმან-ტალის პარტიები გ[illegible] დაიდო.

13 ტურის შემდეგ წინ არის გულ[illegible] კო — 9 ქულა. პეტროსიანმა მოიგ[illegible] როგა 8,5 ქულა, რომანიშინმა და ა[illegible] პანიანმა — 8-8 ქულა, მაგრამ რომ[illegible] ნიშნის ერთი გადადებული პარტ[illegible] აქვს.

გუშინ მოეწყო ჩემპიონატის უკ[illegible] ნასკვნელი წინა, მე-14 ტური.

კალათბურთელთა ჩემპიონატზე

ვილნიუსი უმაღლესი ლიგ[illegible] კალათბურთელ ქალთა საკავშირ[illegible] ჩემპიონატზე რიგის ტტტ-ს გუნ[illegible] დმა 82:51 დაამარცხა დნეპროპეტ[illegible] ტროვსკის „სტალი“ და კვლ[illegible] ინარჩენებს ერთპიროვნულ ლ[illegible] დერობას.

დანარჩენი მატჩების შედეგებ[illegible] ასეთია: „ინდედორსტროი“ (კიევ[illegible] ნოოი) — „დინამო“ (მოსკოვი) — [illegible] 51:55; „სპარტაკი“ (მოსკოვ[illegible] ოლქი) — „სერა ი მოლოტ[illegible] (მოსკოვი) — 96:69; „უნივერსი[illegible] ტეტი“ (ალმა-ათა) — სკიფი (ტა[illegible] შკენტი) — 90:61; „კიბირკეტი[illegible] (ვილნიუსი) — „დინამო“ (კიევ[illegible] — 73:65.

ჭოკეი მსოფლიოს ვიცე - ჩემპიონების გამარჯვება

„იზვესტიის“ პრიზზე ჰოკეისტთა მოსკოვის ტრადიციული ტურნირის მეორე მატჩში 18 დეკემბერს ერთმანეთს შეხვდნენ ჩეხოსლოვაკიისა და შვეიცარიის ნაკრებები. გუნდები. დორმეკვიჩ-ფერბერ[illegible] ვაკიელმა ჰოკეისტებმა — [illegible] (3:1, 1:0, 4:1).

ჭიდაობა

აბსოლუტური ჩემპიონის წოდებისათვის

გუშინ თბილისის სპორტის სახლში დაიწყო ზეჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი. ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად.

დღეით საჭიდაო ხალიჩაზე გამოვიდნენ გასული წლის აბსოლუტური ჩემპიონი თბილისელი ი. ძეგლიგაშვილი და ყვარელელი თ. სურმელაშვილი, აგრეთვე [illegible] თაისელი ვ. მერკვილაძე და თელაველი ყ. ალიევი. გაიმარჯვა ი. ძეგლიგაშვილმა და ვ. მერკვილაძემ.

ასპარეზობა სამ დღეს გაგრძელდება.

ტელევიზია

20 დეკემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის გარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „ბოდი, ზღაპარო!“, ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — თქვენთვის, მშობლებო! (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „შვეიცსწავლოთ ქართული ენა“, 12.15 — კინონარკვევი, 12.25 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 13.25 — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა „ჯანმრთელობა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 14.10 — „საბჭოთა ქვეყნის ადამიანები“ — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ცემენტი“ (I სერია), 16.25 — კინონარკვევი, 16.45 — გადაცემა „შალვა დადიანი“, 17.15 — „მეექვსე საკავშირო...“ სატელევიზიო ფილმების თბილისის ფესტივალის შედეგები“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.45 — „ადამიანი — ბუნების მეგობარი“, 19.10 — „კითხულობს გურამ სალარაძე“, 20.20 — „საზოგადოება და ადამიანი“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — თბილისის საკონცერტო დარბაზებში, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — მინიატურების სატელევიზიო თეატრი „13 სკამი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეორე პროგრამით

18.05 — ფილმი-სპექტაკლი „მოუცი“ (I სერია), 19.10 — კონცერტი, 20.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მთებში მდინარეები ბობოქარია“.

რადიო

21 დეკემბერი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერის“ საკავშირო გამოშვება, 11.45 — „მუსიკალური რადიოფიშა“, 14.45 — ილია ჭავჭავაძე — „თთარაანთ ქვრივი“. კითხულობს გ. სიხარულიძე, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ — ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — „დიდები და პატარები“. საუბარი „მივაგენოთ ბავშვი დამოუკიდებლობას“, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 19.35 — ქართული ხალხური მუსიკა, 20.15 — „ხუთწლედის მ ო წ ვ ი ნ ვ ნ“, 20.30 — რადიოკომპოზიცია „გაუხუნარ ფერთა ეფო“, 21.30 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი). რეპორტაჟი ვილნიუსიდან. 22.00 — გმორნენილ მუსიკოს შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

20 დეკემბერი

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შამთა სიმავე; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — თე